


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 2 | იანვარი 2 1898 წ. | № 2

შინაარსი: დღევანდელი კითხვები ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და სხვა ამბავი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა (დასასრული) ფ. მახარაძისა.—ჩვენი სახიობა მაზაკვალ-სა.—ქუჩაზე ლექსი ი. ევდოშვილ-სა.—რუსეთი 1897 წელს (შემდეგი) ზ—ასა.—ევროპა 1897 წლისა ე—ასი.—კუჭი გამიბატონდა მოთხრობა დ. თომაშვილისა.—ტირაჟი.—ქუთაისის ბანკის და კერძო განცხადებანი.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა კადეტის კორპუსის გვერდით სახლი თამამშოვისა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი“

გამოვა 1898 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

„კვალის“ ხელმძღვანელობას და რედაქციის მართვა-გამგეობას 1 იანვრიდან 1898 წელს იკისრებს ბ. ნოე ჟორდანია.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. ერთი ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 102) და თვით „კვალის“ რედაქციაში Артиллер. ул. д. Тамамшева возлѣ кадетскаго корпуса.

ქალაქ გარეთ რედაქციას ყველგან ჰყავს თავისი აგენტები.

## დღევანდელი კითხვები

### 1. მამული.

პირველ წერილში ჩვენ მოკლეთ და მკაფიოთ გამოვარკვიეთ გზა ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისა. აღვნიშნეთ საზოგადო მნიშვნელობა მამულის, კაპიტალის და შრომის. ახლა ჩვენ ვეცდებით ესენი ცალ-ცალკე უფრო დაწვრილებით განვიხილოთ.

საშუალო საუკუნოების ძირითადი თვისება ის არის, რომ მთელი პოლიტიკური და იურიდიული წყობილება მიწა-ადგილის წყობილებაზე არის აშენებული. იმას, ვისაც მეტი მამული და მაშასადამე მეტი ყმები ყავს, მეტი ძალა და მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში. მამულის წვრილ-მესაკუთრენი ტრიალებენ სხვილი მესაკუთრის გარეშე, ისე როგორც პატარა პლანეტები დიდი პლანეტის გარეშემო ტრიალებენ ხოლმე. რაც უფრო დიდი მემამულეა, მით უფრო მეტი პატარა მემამულეა მისგან დამოკიდებული. ამ ნაირათ, ეს დიდი ბატონი სრულიად ბატონობს თავის დიდ სამფლობელოში, ხოლო პატარა—

თავის პატარა კარ-მიდამოში. საკუთრების იერარქია იწვევს უფროს-უნცროსობის იერარქიას. თითოეული კუთხე, თითოეული ხეობა თუ მაზრა ეკუთვნის ერთ რომელსამე მებატონეს და ის ამ საზღვრებში სრული თვითმპყრობელი გამგეა. ის არავის ცნობს უფროსათ არც შინ და არც გარეთ, ის თავის კუთხის მეფეა. და რადგანაც ასეთი კუთხე და ასეთი მეფე მრავალია—იმართების მათ შორის დაუსრულებელი ბრძოლა უპირატესობისათვის. ეს გახლავს ფეოდალთა ომი. დამარცხებული, თუ შინ ვერას აწყობს, გარბის უცხოეთში, შემოყავს უცხო ჯარი და მისი დახმარებით იმარჯვებს შინაურ მტერზე. მთელი ჩვენი ისტორია ამის ერთი დიდი მაგალითია. ცხრა მეათედი ჩვენი საგარეო ომებისა იყო გამოწვეული თვითონ ქართველ მებატონეთა მიერ. ესენი წამდაუწუმ მიდიან სპარსეთს თუ სხვა სახელმწიფოში და იქ ეძიებენ საშუალებას თავის პირადი ანგარიშების დასაკმაყოფილებლათ. და ბოლოს ხომ ერთიანათ აიღეს ხელი თავიანთ სამშობლოზე. ამ მიცემ-მოცემაში ისინი არას ჰკარგვენ გარდა საკუთარი მამულისა, ამასაც სრულიად არა; პირველათ მას ართმევენ პოლიტიკურ ძალას, მამულის სარგებლობას არ ცხებიან და ან ამასაც თუ შეეხნენ, სამაგიეროთ ამის სასყიდელს აძლევენ. ასე რომ სახრავი ასე თუ ისე რჩება და მას ხომ სხვაფერ არც კი ესმის თავისი როლი და მოწოდება. ფეოდალის სამშობლო მისივე მამულით ისაზღვრება, მაშასადამე სამშობლოსათვის ბრძოლა ნიშნავს საკუთარი მიწა ადგილისთვის ბრძოლას. სხვანაირ სამშობლოზე მას წარმოდგენაც არ აქვს, ეს იდეა მერმინდელი განვითარების ნაყოფია. ცხადია, ბრძოლა ატეხილი ფეოდალთა შორის იწვევს ბრძოლას უცხო მტერთან. საგარეო პოლიტიკა მჭიდროთ შეკავშირებულია საშინაო პოლიტიკასთან.

ამნაირათ, მამულის ბატონობა ნიშნავს პოლიტიკურათ დაწვრილმანებას და დაუძლურებას, ხოლო ეკონომიურათ, შრომის განუვითარებლობას და მიმოსვლის დახშვას. თითოეული ოჯახი, სოფელი თუ ხეობა თითონვე იკმაყოფილებს ყველა თავის მოთხოვნილებას. ეს არის ნივთიერათ თვით-დამკმაყოფილებელი წყობილება.

ამ სახით, მამულის საკუთრება და მამულის შემუშავება — აი რაზე არის აგებული მთელი ფეოდალური შენობა. აქ სიმდიდრე უძრავ ქონებაში მდგომარეობს. მარა აი, ჟამთა მსვლელობაში ნელ-ნელა ფეხი აიდგა და განვითარდა მოძრავი ქონება — ფული. ოქრო-ვერცხლს თან-და-თან მეტი ძალა და მნიშვნელობა მიეცა. აღორძინდა ქალაქები, გაძლიერდა საქონლის ტრიალი და გახშირდა მისვლა-მოსვლა. მემამულეს ფული დაჭირდა და მოინდომა მიწა-ადგილის ფულის წყაროთ გადაქცევა. ის შეუდგა მეურნეობას ბაზრისათვის, ყიდვა-გაყიდვას ფულის მოგებისათვის. მამული ფულის ფორმას ღებულობს, უძრავი ქონება ამოძრავდა და ფულის ფორმით ბაზარზე გავიდა. ამ ხანაში, ყველა მეურნეს მამულის შეძენის ციება ედება. ერთი ნაჭერი მიწისათვის ის მზათ არის სისხლი დაღვაროს, სხვას თავი შეაკლას, სასამართლოები შეაწუხოს. ევროპამ ეს ხანა გაელო. ჩვენ კი დღეს ვართ ამ ხანაში. ყველამ უწყის თუ რა უმაღლეს ხარისხს აღწევს დავა მიწა ადგილებისათვის იმერეთში, განსაკუთრებით გურიაში. სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო პროცესები ამ დავის გარეშემო ტრიალებს. მეზობელი ედავება მეზობელს, ძმა ძმას, შვილი მამას, წოდება-წოდებას. გლეხთა მოძრაობა მემამულეთა წინააღმდეგ თითქმის მთელმა მხარემ გამოსცადა. ამ დავიდარაბას და არეულობას საზოგადოთ „კლიაუზნობით“ ხსნიან, ხალხი „გაკლიაუზნდაო“! ნამდვილათ კი ამის მიზეზი ღრმა ეკონომიური ცვლილებაა, სახელდობრ: მიწა შეიქმნა ფულის მოგების წყაროთ, სიმდიდრეთ მოძრავი ქონება გახდა. ეს კი ნიშნავს ხალხის ბურჟუაზიულ მიდრეკილებას და ცხოვრების გაქალაქებას. სწორეთ ამიტომ არის, რომ დასავლეთი საქართველო ახალ გზაზე გაცილებით წინ წავიდა ვინემ აღმოსავლეთი. პირველმა უჩვენა გზა მერმისისა მეორეს. სანამ აქეთაც არ დაიწყება ისეთივე მოძრაობა მიწა-ადგილისათვის, როგორც ეს იქითა მხარესაა, მანამ მისი მოქალაქეობა უბრალო ოცნებაა...

ასე თუ ისე მამული დღეს ფულის წყაროთ გადაიქცა, ფული კიდევ მამულის წყაროთ. ფული გაქვს — მამული გაქვს, მამული გაქვს — ფული... ეს კიდევ არ ნიშნავს რომ გაქვს, შეიძლება გქონდეს და შეიძლება არა. მეურნეს მაშინ შეუძლია ფულის შოვა, როცა ის თავის ნაშრომს ბაზარზე გაყიდის. მაშასადამე მისი არსებობის პირობა ბაზარია. ხოლო ბაზრის აღორძინება, გაფართოება და განვითარება დამოკიდებულია შრომის განაწილებაზე ე. ი. აღებ-მიცემობა და მრეწველობაზე. რაც მეტი ხალხი ცილდება მეურნეობას და ხელს ჰკიდებს წარმოების სხვა-და-სხვა დარგს, მით უფრო დიდი ბაზარია სამეურნეო ნაწარმოებისათვის. მარა ეს პროცესი ძალიან ნელი ნაბიჯით მიდის წინ, ფულის მოთხოვნილება კი, განსაკუთრებით დიდ მემამულეთა შორის, ჩქარა ვითარდება. აქედან იბადება მათი კრიზისი, რაიცა იხატება დავალიანებას მიწა-ადგილთა გაყიდვას და გაკოტრებაში. ასეთ არა სანატრელ მდგომარეობამ წინ წამოაყენა კითხვა სამეურნეო და სასოფლო. ეს შეიქმნა ჩარხათ საზოგადო მოღვაწეობისა და ღერძათ მოღვაწეთა აზროვნებისა. მემამუ-

ლენი დაუაცურდენ, გაექან-გამოექანენ, ცას და ქვეყანას შეტორეს ვილუპებითო. მათი პირდაპირი მიზანია თავისი ინტერესი და მდგომარეობა დაიცვან, უპირატესობა შეირჩინონ, სოფლის მეთაურნი გახდენ. მათ დღესაც ღრმათ რწამთ, რომ: „თავად-აზნაურობას, როგორც უპირველეს წოდებას სახელმწიფოში, შეუძლია სოფლის ხელმძღვანელობა და ახლო-მახლო მცხოვრებთათვის მაგალითის ჩვენება მხოლოთ მაშინ, როცა ის არის არა მარტო მოწოდებული ამ ისტორიული მოვალეობის შესასრულებლათ, არამედ კიდევაც მიიღებს ფაქტიურ საშუალებას მის განსახორციელებლათ“ („მოხსენება ქუთაისის თავად-აზნაურობის ერობის შემოღების გამო“). ამ მიზნის მისაღწევათ ის ყოველნაირ სახსარს ეძიებს, სამეურნეო სწავლა-ცოდნიდან დაწყებული ერობამდე. აშკარაა, მოწინავე წოდება სოფლის ინტერესის მებაირაღეთ გამოდის. მარა სოფელი განა წარმოადგენს ისეთ მთელ რამეს, რომლის ყველა ნაწილს ერთი და იგივე ინტერესი აქვს?

ჩვენებური მამულის საკუთრება შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფათ: 1) დიდი, ანუ ფეოდალური საკუთრება, რომელიც რამოდენიმე ათას ქცევას შეიცავს; 2) საშუალო საკუთრება, რომელიც რამოდენისამე ას ქცევას შეიცავს, 3) წვრილი საკუთრება-რამოდენიმე ათ ქცევიანი და 4) ძალიან მცირე, ერთიდან ათ ქცევამდი. ყველა ესენი სხვა-და-სხვა ეკონომიურ პირობებშია. პირველ ჯგუფის მემამულე გაპნეული, გაფანტული (ექსტენსიური) კულტურის ტიპიური წარმომადგენელია. ის სრულებით არ ცდილობს მამულის განაყოფიერებას, კაპიტალის ჩადებას, ვინაიდან მას მამულის სიდიდის იმედი აქვს და აქედან ელის საცხოვრებელ წყაროს. ის შეიძლება არც კი უყურებს თავის მამულის შემუშავებას, არც კი ცხოვრებს მის სიახლოვეს, არც კი იცის ვინ ამუშავებს ამოდენა მიწა-წყალს და ვინ აძლევს მას ღალას. მას მხოლოთ ყავს ერთი თუ მეტი მოურავი და მორჩა და გათავდა. ასეთი ღვთის ანაბარა გაშვებული მამული ყოველნაირი კრიზისის მსხვერპლია. აქ ყველაფერი შემთხვევაზე არის დამოკიდებული. ამიტომაც ბანკებში ყველაზე მეტი აი, ამ ტიპის მამული გირავდება, რაიცა აჩქარებს პატრონთა გაკოტრებას. მეორე და მესამე ჯგუფის მემამულე იძულებულია პატარა მიწაზე მეტი მოიყვანოს და მეტი ძოიგოს; მაშასადამე ის ძალაუნებურათ ინტენსიურ კულტურისაკენ მიიმართება. ის თვითონ უვლის და ანაყოფიერებს მამულს, კრიზისსაც უფრო ადვილათ იტანს და ბანკებშიაც ნაკლებათ აგირავებს. ცხადია, ბრძოლა დიდი მამულის დაცვისათვის არის ბრძოლა ძველებურ წარმოების და ურთიერთობისათვის, ხოლო ბრძოლა საშუალო და წვრილი მამულისათვის არის ბრძოლა თანამედროვე იარაღებით შემუშავებისათვის. ეს ეკონომიური განსხვავება იწვევს პოლიტიკურ განსხვავებასაც. მაშინ როდესაც პატარა მემამულე თავის ძალ-ღონეზე არის დამყარებული, დიდი მემამულე, როგორც დიდი გავლენიანი, მუდამ მეტ უფლება-უპირატესობას ეძიებს. ის მუდამ მთავრობასთან შუამდგომლობს ამა თუ იმ განკერძოებული უფლებისათვის. ამისათვის ყოველივე კონსერვატორული მიდრეკილების ბურჯი და წინამძღოლი აი ესენი არიან. ამათ ძირიანათ ეწინააღმდეგება მესამე და მეოთხე ჯგუფის ინტერესი, ხოლო მეორე ჯგუფი პოლიტიკურათ საშუალო ალაგს იჭერს. ეს ჯერ ჯერობით მხოლოთ პირველთა ჯარს შეადგენს და მეტს არაფერს. ამათ თუ მიუმატებთ სრულიად უმამულო ხალხსაც, გამოვა რომ სოფელი ძალიან აჭრელებული სახისაა, რომლის ყველა შემადგენელი ნაწილი ერთმანეთს ეწინააღმდეგება და ებრძვის. აშკარაა, მემამულეთა ბრძოლა არის ბრძოლა უმცირესობის სასარგებლოთ უმრავლესობის წინააღმდეგ. რაც მათ მეტი საშუალება ექნებათ თავისი მდგომარეობა გაამაგრონ და უპირატესობა დაიცვან, მით უფრო გაბატონდებიან სოფლის ხალხზე, შეაჩერებენ კულტურულ მეურნეობას, წინ გადაეღობებიან სოფლის გაქალაქებას და ახალი ცხოვრების დაწყებას.

მიუხედავათ ყველა ამ განსხვავებისა და ინტერესთა წინააღმდეგობისა ამ ჯგუფთ ერთი რამ აქვთ საერთო, სახელდობრ ის, რომ ყველა ესენი მეურნენი, სოფლელები არიან. სოფელი შეადგენს იმ საერთო სარბიელს, სადაც ისინი მოქმედობენ და ერთმანეთს ებრძვიან. აქ ერთი უფრო კონსერვატიული ელემენტია, მეორე უფრო პროგრესიული. მარა ყველა ამათ ერთათ თუ ავიღებთ და ქალაქს შევადარებთ, დავინახავთ, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა. დღევანდელ ცხოვრებაში მოწინავე როლს ქალაქი თამაშობს. ეროვნული განვითარება ქალაქური ცხოვრების განვითარებაა. ის ერი, რომლის ეკონომიურ საძირკველს მეურნეობა შეადგენს, დასუსტებულია კულტურულათ და დამარცხებულია საერთაშორისო ბრძოლაში. როცა მეურნულ ერში უცხო ტომთა ბურჟუაზია შევარდება, იქაურობას ერთიანათ ნაცარ-ტუტას ადენს, იმიტომ კი არა, რომ ის უცხოა, არამედ იმიტომ რომ ის ქალაქური ცხოვრების წარმომადგენელია და ისტორიული მსვლელობაც მას მეტ ძალას და მნიშვნელობას აძლევს. სანამ ასეთი ერი ქალაქებში ვერ მოიკიდებს ფეხს, მოქალაქობრივათ ვერ გაღონიერდება და ისევ სოფლურ ქერქში დარჩება, მანამ მისი გამარჯვება მასზე მოსულ მეტოქეებზე ოცნებაა. ქალაქი ამარცხებს სოფელს, მაშასადამე ის ელემენტი, რომელიც გამაგრებულია ქალაქში, მაგრდება სოფელშიაც. ასეთია ულმობელი კანონი ახალი ცხოვრებისა,

ამნაირათ მამულის ბატონობა ნიშნავს სოფლის ბატონობას, ხოლო სოფლის ბატონობა—უკულტურობას, უკან ჩამორჩენას და საერთაშორისო ბრძოლაში სამარცხვინოთ დამარცხებას.

ის, რაც მთელ ახალ ხანას სარჩულათ დაედვა, ძველი წყობილება ძირიანათ შეცვალა და ცხოვრებაში გაბატონდა, არის ფული—კაპიტალი.

ნ. ჟორდანია.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

† ილია სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი) 3 იანვარს უეცრათ გადაიცვალა თფილისში. ცნობილი მრეწველი და ქველმოქმედი ქართველი ილია ლაზარეს ძე ოქრომჭედლიშვილი 62 წლისა იყო შვილი სიღნაღელი ოქრომჭედლისა. ეს ქართველი გვარი მან და მისმა ძმებმა რუსულათ გადააკეთეს და დაირქვეს სერებრიაკოვი. ილია ოქრომჭედლიშვილი ყმაწვილობიდანვე იყო შესანიშნავი ცნობისმოყვარე მშრომელი, მხნე და გულდაუჩაგვრელი კაცი. ყმაწვილობისას თავის ნათესავის ალმუროვის დუქანში იყო ნოქრათ. შემდეგ, როგორც ვიცით, ის შეიქნა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორათ, მაჰყო ხელი ამასთანავე ვაჭრობას და გამდიდრდა. ბოლოს ჩამოვიდა თავის სამშობლო ქვეყანაში მრეწველობის პიონერათ. არანაკლები ღვაწლი მიუძღვის მას სამშობლო ლიტერატურის წარმატებაში და საქველმოქმედო საქმეებში. დაწვრილებით იმის ცხოვრების აწერას მისი სურათით დავსტამბავთ „კვალის“ მომავალ ნომერში.

—

როგორც ახალი მკითხველის რევიზიის კომისიის მოხსენებიდან ჩანს, ამხანაგობას ყოლია 432 წევრი, ამათში სამ-სამ მანეთიანი 300, დანარჩენი ოროლ-და-თითო მანეთიანი, სულ შემოუტანიათ 1085 მ. გაყიდული წიგნებიდან შემოსულა 31 მ. 69 კ. და კერძო შემოწირულობა 10 მ. სულ 1126 მ. 89 კ. გასავალი ყოფილა 1132 მ. 78 კ. მაშასადამე ამხანაგობას ვალი დადებია 6 მ. და 9 კ., რაიცა ამხანაგობის გაკოტრებას მოასწავებს. ამის უმთავრესი მიზეზი, როგორც ჩანს, უთავბოლო ხარჯვა ყოფილა, მარტო მართველის ჯამაგირზე 330 მ. წასულა მაშინ როდესაც ამის შესაფერ მოქმედებას ვერ ვხედავთ, ხოლო ნაკლულევანება კი მრავალია. 29 ქრისტეშობისთვეს მომხდარ საზოგადო კრებამ ამოირჩია ორი კომისია, ერთს მიანდო ამხანაგობის დაცემის მიზეზების გამორკვევა და გამოაშკარავება, ხოლო მეორეს—შემუშავება ახალი გეგმის, რომლის თანახმათ მოწყობილ უნდა იქმნეს „ახალი მკითხველის“ საქმეთა მსვლელობა. სასურველია ამ საქმის ვითარება რაც შეიძლება ადრე გამოარკვევდენ და პრესის საშუალებით საზოგადოებას აცნობებდენ.

კრებას არ დაესწრო ამხანაგობის მართველი; საჭიროა შევიტყოთ ამის მიზეზი.

## „კვალის“ კორესპონდენციები.

ქ. კერჩი. 13 ქრისტეშობითვეს აქ თავი მოიკლა სიმონ ნიკოლაიშვილმა, აქაური ნავთ-სადგურის გემთა ტვირთვა-დაცლის მოიჯარადრემ. აი, საქმე როგორ იყო: საღამოს მარტო დარჩენილიყო და პირ-აღმა დაწოლილი ორჯელ დაეცალა რევოლვერი. პირველათ გულის ქვემოდან მოერტყა და ეფიქრა მალე არ მომკლავსო, და იმავ წამს ტანთ-საცმელი გაეხსნა და მეორეთ მოერტყა მარცხენა ძუძუში. თავის მოკვლის მიზეზი არავინ იცის. განსვენებულს არავითარი ბარათი, ან ანდერძი არ დაუტოვებია. ამის დამნახველნი, აქ მყოფი ქართველები, ძლიერ დაღონებულნი და თითქმის უპატრონოთ დავრჩით.. მხოლოთ ბ. ალექსანდრე ნიკოლაიშვილმა, ოდესის მოიჯარადრემ, ხელი მოგვიწყო; ის მაშინვე მოვიდა ოდესიდან და დამარხვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო. გააკეთებია თავის ხარჯით ძვირფასი კუბო, გვირგვინიც დაადვა და საფლავზე გრძნობით სავსე სიტყვა წარმოთქვა. გვირგვინი დაადვა აგრეთვე კერჩის ნავთ-სადგურის მმართველმა და მრავალმა სხვა საპატიო პირებმა; ნავთ-სადგურის საქმეები კი იჯარით აიღო ალ. ნიკოლაიშვილმა და ჩვენი ლუკმა-პური სხვებს აღარ გაატანა. აქაური ქართველი მუშები ძლიერ მადლიერი ვიყავით განსვენებულისა და იმედია, მისი მოადგილეც ჩვენ ნდობას დაიმსახურებს.

რაჟდენ დოლიძე.

*
* *

სად. განჯა. ქ. განჯის ქართველობა ამ იანვრის გასულ რიცხვებში აპირობს ჩვეულებრივი ქართული საღამოს გამართვას. ამ ნაირი საღამო აქ ეს რამდენიმე წელიწადია, რაც იმართება და დიდი ყურადღებაც დაიმსახურა ადგილობრივ საზოგადოების თვალში. მას დიდი სიამოვნებით მოელის არა მარტო ქართველობა, არამედ რუსებ—თათრებ—სომხობაც. ერთ-ერთი ჩვენი საქველმოქმედო დაწესებულებაც მოელის ამ საღამოდან ცოტაოდენ გროშებს. მომავალი საღამოის შემოსავალი-კი დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოთ.

3

ან, ამ საღამოს გასამართავათ ემზადება ამ ჟამათ განჯის ქართველობა და იმედიცაა, რომ ჩვეულებრივ კარგათ ჩაატარებს მას. ხოლო ნურას უკაცრავათ, თუ ორიოდე სიტყვით მოვაგონოთ საქმის მოთავეთ შარშანდელი საღამო. ამ საღამოდან რამდენიმე პირზე დარჩა ბილეთების ფული, რადგანაც ბილეთები გაყიდეს და ფული-კი არ წარმოადგინეს. ამის შესახებ კრება კრებაც მოხდა, რომელზედაც დაავალეს ბ. ვასო ჯაფარიძეს მოეთხოვა ის ფული იმ ვაჟბატონებისაგან. ჩვენ არ ვიცით, რამდენათ აასრულა ბ. ჯაფარიძემ დავალებული საქმე, ხოლო ჩვენი მხრით მოვაგონებთ საქმის მოთავეთ, რომ ეს შემთხვევა მაგალითათ იქონიონ და შემდეგში მაინც არ ჩაუგდონ ბილეთები ისეთ პირებს, რომელთაც მხოლოთ სიტყვით უყვართ საზოგადო და საქველმოქმედო საქმე, თვარა საქმით ხელის განძრევისაგან ღმერთო იხსენ, ღმერთო იხსენ; ხელის განძრევა-კი არა, ბატონებო, საღამოს კუთვნილება—ბილეთების ფულიც—აღარ ჩანს. მერე იმ საღამოსი, რომლიდანაც ბევრი შინ ბრუნდება უბილეთობის და უალაგობის გამო. აბა, ამას ქვია საზოგადო საქმე! მაგრამ რომ გაგიგონიათ „კარგი რამ გვჭირდეს გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია".

განჯელი მეთვალყურე.

## ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მოძრაობა.

### 2. საშინაო აღებ-მიცემობა. *)

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობას ჩვენ აქ იმდენათ ვეხებით, რამდენათაც ეს საჭიროა მისი საზოგადო მიმართულების დასახასიათებლათ. თორემ მთელი ამ აღებ-მიცემობის განხილვა, მისი დაწვრილებით შესწავლა, მოკლე წერილში კი არა, სქელ წიგნშიაც ძნელია. თუ არ ვცდებით, ეს საზოგადო ხასიათი ჩვენ დავადგინეთ, ე. ი. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამიერ-კავკასიის აღებ-მიცემობა, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში, შესანიშნავათ გაიზარდა. ერთი სიტყვით, ჩვენ დავადგინეთ, რომ დღეს ამიერ-კავკასია გზავნის აურაცხელ საქონელს როგორც საზღვარგარეთ, ისე რუსეთში და სამაგიეროთ თითონაც, თუმც შედარებით ბევრათ ნაკლებს, ღებულობს, როგორც საზღვარგარეთიდან, ისე რუსეთიდან (უფრო კი ამ უკანასკნელიდან) სხვა და-სხვა საქონელს თავის არსებით მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ის, რაც ჩვენგან გაგვაქვთ, საინტერესოა ჩვენთვის იმდენათ, რამდენათაც ჩვენ მუშა ხალხს სამუშაოს აძლევს, რამდენათაც მას საერთო მოქმედების ნიადაგს უმზადებს. ხოლო ის, რაც ჩვენში შემოაქვთ, საინტერესოა ჩვენთვის იმ მხრით, თუ რამდენათ ვითარდება ჩვენში შინაური აღებ-მიცემობა. მართალია, აღებ-მიცემობაში გარედან შემოტანილ საქონელს გარდა შინ დამზადებული საქონელიც დიდ მონაწილეობას ღებულობს, მაგრამ პირველათ ეს ასე არ იყო. ჩვენ დღეს დაჯერებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შინ დამზადებული საქონლის ტრიალი, ე. ი. შინაური აღებ-მიცემობა ჩვენში, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ისტორიულათ საზღვარგარეთის საქონლის ტრიალმა გამოიწვია. ამიტომ შინაური აღებ-მიცემობის და შინაური მრეწველობის განვითარება ჩვენში მჭიდროთ შეკავშირებულია საგარეო აღებ-მიცემობის განვითარებასთან. ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ რამდენიმე სიტყვა ვთქვათ როგორც ჩვენი ქვეყნის შინაურ აღებ-მიცემობაზე, ისე მის მრეწველობაზედაც. თავისთავათ იგულისხმება, რომ შინაური აღებ-მიცემობა კიდევ უფრო რთული საგანია და მეორე მხრით მის შესახებ ჩვენ ბევრათ უფრო ნაკლები ცნობები გვაქვს.

ყველამ უწყის, რომ დღეს ჩვენში ყოველგვარი ნაწარმოების ღირსება ფულით იზომება. ქალაქში, თუ სოფელში, დუქანში, თუ ოჯახის წრეში, ყოველგან პირველ ადგილზე ფულია დაყენებული. მაგრამ ფული სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ იმის საშუალებით რაიმე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი საგანი იშოვოთ. მაშასადამე, დღეს ყოველგვარი ნაწარმოები, რომელიც ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ არის გაკეთებული, ფულზე იცვლება. ასეთი წესი ჩვენში დიდი ხნის ამბავი არ არის: ეს მოხდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. წინეთ, ნატურალური წარმოების დროს, თუ ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლაში საჭიროება იქნებოდა, პირდაპირ ნაწარმოებს ცვლიდენ ერთი მეორეზე. ეს დრო ჩვენში კიდევ ბევრს ახსოვს. ასეთი გაცვლა-გამოცვლა, ასეთი ნატურალური აღებ-მიცემობა (თუ სიტყვა აღებ-მიცემობა შეიძლება აქ ვიხმაროთ), სხვა ველურ და ბარბაროსულ ქვეყნებს რომ თავი დავანებოთ, კავკასიის მთიულებშიაც არსებობს დღეს, თუმც ამ უკანასკნელ დროს, როგორც ჩანს, *) იქაც ბოლო ეღება. ჩვენ აქ არც ადგილი ნებას გვაძლევს და არც მასალა გვაქვს, რომ ჩვენი შინაური აღებ-მიცემობის განვითარებას კვალ-და-კვალ

*) იხ. „კვალი", № 1.

*) იხ. ამის შესახებ ძლიერ საინტერესო წერილი გაზ. „Нов. Обозр."-ში ამ სათაურით: Переходное состояніе горцевъ Сѣвернаго Кавказа".

მივდიოთ ამ უკანასკნელ დრომდე დ გამოვიკვლიოთ ის, თუ ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში შინაურმა ალებ-მიცემობამ საგარეო ალებ-მიცემობის დახმარებით როგორ თანდათან გააქარწყლა საოჯახო ნატურალური წარმოება. ჩვენ აქ მხოლოთ დავასახელებთ რამდენსამე მომენტს ჩვენი ქვეყნის ალებ-მიცემობის ისტორიიდან.

ვინაიდან ამიერ-კავკასიის ალებ-მიცემობა პირველ ხანებში უმეტეს ნაწილათ საზღვარგარეთიდან დ რუსეთიდან შემოტანილი საქონლით იკვებებოდა და თითქმის დღესაც იმით იკვებება, ამიტომ საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანის გაძლიერება იმავე დროს შინაური ალებ-მიცემობის გაძლიერებასაც ნიშნავს. ასეთ გაძლიერებას ვამჩნევთ პირველათ მესამოცე წლების მიწურულში, სახელდობ 1870 წელს, როცა საზღვარგარეთიდან შემოიტანეს ამიერკავკასიაში $11^1/_2$ მილიონ მანეთის საქონელი. 1874 წლიდან საქონლის და პასაჟირების მოძრაობას, რაც იმავე დროს ალებ-მიცემობას გამოხატავს, ყველაზე უფრო კარგათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის წლიური ანგარიშები დაგვანახვებს. მივმართოთ ფაქტებს.

| წლები | პასაჟირების რიცხვი. | საქონლის გადატან გადმოტანა ფუთებათ |
|---|---|---|
| 1874 | 367,798 | 9.836,759 |
| 1880 | 633,983 | 28.659,241 |
| 1885 | 842,349 | 76.490,902 |
| 1890 | 1.134,473 | 118.516,701 |
| 1896 | 2.179,459 | 152.162,303 |

ამნაირათ ამიერ-კავკასიის რკინის გზას 1896 წელს თითქმის ექვსჯერ მეტი პასაჟირი გადაუყვანია, ვინემ 1874 წელს. რაც შეეხება საქონლის გადაზიდვის მატებას 1896 წელს იგი 15 ჯერზე უფრო მეტია 1874 წლისაზე. სხვა სიტყვებით: ოცდა-ორი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე პასაჟირების რიცხვმა იმატა 492,57%; იმავე დროს საქონლის გადატანამ კი 1,446,87% იმატა. გავიგოთ ახლა, თუ როგორ იმატა ამ ოცდა ორი წლის განმავლობაში რკინის გზის შემოსავალმა და კერძოთ ამ მატებაში რა მონაწილეობას ღებულობს პასაჟირების გადაყვანა და საქონლის გადატანა. 1874 წელს მთელი შემოსავალი ამიერ კავკასიის რკინის გზისა იყო 1.403,656 მანეთი. ამაში პასაჟირებიდან და დიდი სიჩქარით გადასატანი საგნებისაგან შემოსავალი 561,375 მანეთს შეადგენდა, ანუ მთელი შემოსავლის 40,1%; პატარა სიჩქარის საქონლის გადატანა კი 780,690 მან., ანუ 55,8%. 1893 წელს რკინის გზის შემოსავლის პირველი წყარო (პასაჟირები და დიდი სიჩქარის საქონელი) 1.386,846 მანეთს შეადგენდა, მეორე წყარო კი (ე. ი. პატარა სიჩქარის საქონელი) 17.091,624 მანეთამდე ავიდა. ესე იგი, დღეს საქონლის გადატანა აძლევს ამიერ-კავკასიის რკინის გზას 86% მთელი შემოსავლისას, პასაჟირების გადაყვანა კი ამ შემოსავალში სულ მცირე როლს თამაშობს: იგი მხოლოთ 71% შეადგენს მთელი შემოსავლისას, რაც შეეხება ამიერ-კავკასიის რკინის გზის შემოსავალს და წმინდა მოგებას უკანასკნელ წლებში, ამას შემდეგი ცხრილი დაგვანახვებს:

| წლები | მთელი შემოსავალი | წმინდა მოგება |
|---|---|---|
| 1894 | 15.319,823 მან. | 7.621,692 მან. |
| 1895 | 16.753,346 — | 8.761,486 — |
| 1896 | 19.091,756 — | 10 128,101 — |

ეს ცნობები, ვგონებთ, ყველაზე უფრო აშკარათ ლაპარაკობენ, თუ ამიერ-კავკასიაში საქონლის ტრიალი როგორი სისწრაფით განვითარდა. მართალია უმეტეს ნაწილათ ჩვენ აქ საზღვარგარეთ გასაკზავნ საქონელთან გვაქვს საქმე, როგორც მაგ., ნავთი, მარგანეცი და სიმინდი, მაგრამ ამავე დროს შინაური ალებ-მიცემობაც რომ შესანიშნავათ იზრდება, ესეც ცხადია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რას ნიშნავს ეს შეუჩერებელი ზრდა პასაჟირების რიცხვისა? რას ნიშნავს ის გარემოება, რომ დღეს ორ მილიონზე მეტი ხალხი მოგზაურობს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე? სად მიდის, რისთვის დაძრულა ამოდენა ხალხი თავის მამა პაპების მიერ ნაანდერძევი კუნჭულებიდან? ჩვენ აქ ამის შესახებ არაფერს ვიტყვით, თვით მკითხველი დაფიქრდეს ამაზე. ჩვენ აქ დავასახელებთ უმთავრეს ცენტრებს, საიდანაც მოდის ან სადაც მიდის ეს აუარებელი ხალხი და აურაცხელი საქონელი. ამ შემთხვევაშიაც ამიერ-კავკასიის რკინის გზა, როგორც უმთავრესი მილი, რომელსაც ყოველი მხრიდან ერთვიან სხვა პატარა მილები, ჩვენთვის ერთად ერთი სწორი მაჩვენებელია.

1874 წელს იმ სადგურების რიცხვი, რომლებიც ასი ათას ფუთზე მეტ საქონელს გზავნიდენ, ათი იყო: ფოთი, ახალსენაკი, სამტრედია, რიონი (მაშინ ქუთაისათ წოდებული), ყვირილა, ხაშური, სურამი, ქარელი, გორი და თფილისი. იმათში თფილისი გზავნიდა 500 ათასიდან 1 მილიონამდე; ფოთი 1—3 მილიონამდე და ახალ სენაკი 3—5 მილიონამდე. იმ სადგურების რიცხვი, რომლებიც ასი ათას ფუთზე ზევით ღებულობდა, 1874 წელს მხოლოთ ხუთი იყო: ფოთი, ახალ-სენაკი, რიონი, სურამი და თფილისი. იმათში თფილისი ღებულობდა 1—3 მილიონამდე და ფოთი 3—10 მილიონამდე 1894 წელს კი პირველი რიგის სადგურების რიცხვი, ე. ი. რომლებიც ასი ათას ფუთზე ზევით გზავნიდენ, 44 იყო: იმათში 500 ათასიდან 1 მილიონამდე 12 სადგური

გზავნიდა: სუფსა, სამტრედია, აბაშა, ახალსენაკი, ქუთაისი, ტყიბული, გომი, აქსტაფა, განჯა, ევლახი, ლიაკი, საბუნჩი. 1—3 მილიონამდე ოთხი: ბათომი, ყვირილა, თფილისი, ბაქო. 10 მილიონს ზევით გზავნიდა მხოლოთ ბაქო—ბოლაზი. ამავე წელს იმ სადგურების რიცხვი, რომლებიც ასი ათას ფუთზე ზევით ღებულობდენ, 27 იყო. იმათში 500 ათასიდან 1 მილიონამდე ექვსი სადგური ღებულობდა: ყვირილა, ხაშური, ნათლუღი, დოლიარი, განჯა, ევლახი; 1-3 მილიონამდე ორი: ქუთაისი და აქსტაფა; 3—5 მილიონამდე ორი: ფოთი და ბაქო; 5—10 მილიონამდე შორაპანი; 10 მილიონს ზევით: ბათომი, ფოთი-პორტი, თფილისი, ბაქო—ბოლაზი.

აი უმთავრესი ცენტრები ამიერ-კავკასიის ალებ-მიცემობისა, სადაც თავს იყრის, როგორც გასატანი, ისე შემოსატანი საქონელი: თითოეული იმათგანი პირველათ გზავნის თავის ნაწარმოებს და შემდეგ თითონაც ღებულობს. ამ საალებ-მიცემო ცენტრებში უპირველესი ალაგი უჭირავთ, რასაკვირველია ბაქოს, თფილისს, ბათომს და ფოთს მაგრამ ამ მხრით იმათშიაც განსხვავებაა. თფილისს, მაგ., როგორც ამიერ-კავკასიის შუა ადგილზე მდებარე ქალაქს, უპირველესი მნიშვნელობა აქვს შინაურ ალებ მიცემობაში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზამ, რომელმაც ორი ზღვა ერთმანეთს შეუერთა, ბევრათ შეაფერხა თფილისის ალებ მიცემობის ზრდა; მეორე მხრით, თფილისის ალებ-მიცემობა რომ თანდათან იზრდება, თუმც შედარებით ძლიერ ნელი ნაბიჯით, ამას ვერავინ უარს ვერ ჰყოფს. იმავე დროს ეს ალებ-მიცემობა მდიდარ, უფრო შეძლებულ ვაჭრებს უვარდება ხელში. სხვათა შორის, თფილისის ალებ მიცემობის ასეთ მიმართულებას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: 1876 წელს თფილისში ირიცხებოდა 11 ათასი ხელოსანი. ათ წელს შემდეგ, ე. ი. 1887 წელს, ხელოსნების რიცხვი $5^1/_2$ ათასამდე ჩამოვიდა. მართალია, ეს ფაქტი უფრო წვრილი მრეწველობის დაცემას მოწმობს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე მრეწველობა და ალებ-მიცემობა თავის განვითარებაში ორივე ერთ და იმავე კანონს ემორჩილებიან. რაც შეეხება თფილისის ალებ მიცემობის სიდიდეს, ამაზე 1890 წლის ანგარიში გვეუბნება, რომ ხსენებულ წელს თფილისის მთელი ალებ-მიცემობა (весь оборотъ) 37.586,795 მანეთს შეადგენდა, და ამასთანავე მოქმედებდა 2,866 სავაჭრო დაწესებულება.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ბაქო და ბათომი, რომლებიც იზრდებიან ჩვენ თვალ წინ ნამდვილი ამერიკული სიჩქარით. ამ ორ მოცილეებში საალებ-მიცემო დ სამრეწველო ასპარეზზე, ჩვენ არ ვიცით, რომელ მათგანს დავუთმოთ უპირატესობა. ყოველ შემთხვევაში ამ მხრით ბაქოს დღეს პირველი ალაგი უჭირავს, რასაც აშკარათ ამტკიცებს ყველა ზევით მოყვანილი ცნობები. ყურადღების ღირსია აქ აგრეთვე ბაქოს მცხოვრებლების რიცხვის მატება. მეოთხმოცე წლებში ბაქოში ძლივს 15 ათასი მცხოვრები ირიცხებოდა, 1893 წელს კი პოლიციის ცნობებით უკვე 112,207 მცხოვრები იყო. მაშასადამე, რაღაც ათი წლის განმავლობაში ბაქოს მცხოვრებლების რიცხვმა იმატა 617,98%, რაც თვით ამერიკაშიაც იშვიათ მაგალითს წარმოადგენს.

დაგვრჩა რამდენიმე სიტყვის თქმა ბათომზე და ფოთზე, ამ ორ არათანასტოლ მოცილეებზე. შემდეგი ცხრილი წარმოგვიდგენს იმათ საალებ-მიცემო მნიშვნელობას დღეს და ამ თვრამეტი წლის წინეთ.

საგარეო ალებ-მიცემობა

ფ ო თ ი

| წლები | გ ა ტ ა ნ ა (მანეთებათ) | შემოტანა (მანეთებათ) |
|---|---|---|
| 1879 | 4.454,772 | 4.527,146 |
| 1893 | 5.277,072 | $2,239^1/_2$ |

ბ ა თ ო მ ი

| წლები | გ ა ტ ა ნ ა (მანეთებათ) | შემოტანა (მანეთებათ) |
|---|---|---|
| 1879 | 497,349 [1]) | 1 398,968 [2]) |
| 1893 | 23.556,654 | 9.701,774 |

აქედან ცხადია, თუ როგორ შეიცვალა ამ ორი საალებ-მიცემო ქალაქების ბედი. თითქმის მთელი ამიერ-კავკასიის ალებ-მიცემობა, რომელიც შავი ზღვის ნაპირზე წარმოებს, ბათომში გადადის. ფოთს ცოტაოდენი მნიშვნელობა მხოლოთ საზღვარ-გარეთ გატანაში აქვს; რაც შეეხება საზღვარგარეთიდან შემოტანას, ამ მხრით ფოთის მნიშვნელობა თანდათან მცირდება. ამას კიდევ უფრო სადამოჟნო შემოსავალი გვიმტკიცებს.

| წლები | ბ ა თ ო მ შ ი | ფ ო თ შ ი |
|---|---|---|
| 1881 | 56 ათასი მან. | 250 ათასი მან. |
| 1885 | 751 — — | 17 — — |
| 1890 | 1.977 — — | 6 — — |

1893 წელს ბათომის მთელმა ალებმიცემობამ მიაღწია 33.983.500 მანეთამდე, მაშინ როცა ქუთაი-

[1]) ამ რიცხვში 269,520 მანეთის საქონელი გატანილია რუსეთში.

[2]) ამ რიცხვში 1.206,368 მანეთის საქონელი რუსეთიდან არის შემოტანილი. იხ. Кавк. кал., за 1881 г., გვ. 43—4.

სის მხოლოთ 4.511,000 მანეთს შეადგენდა. ამავე წელს მთელი ქუთაისის გუბერნიის ალებ-მიცემობა 50.154,114 მანეთს შეადგენდა. ამიტომ ბ-ნი არღუთაშვილი-მხარგრძელი სამართლიანათ ამბობს, რომ ქუთაისის გუბერნია მთელ ამიერ-კავკავკასიაში შესანიშნავია თავის ალებ-მიცემობითი და მრეწველობითი მიმართულების უდიდესი განვითარებითო.

ფ. მახარაძე.

(დასასრული იქნება)

—

შეცდომის გასწორება: პირველ წერილში („კვალი" № 1, გვ. 13, მეხუთე სტრიქონი ზევიდან) დაბეჭდილია:

| შემოტანა | გატანა |
|---|---|
| 27,812,402 | 11,452,145 |

უნდა იყოს შეცვლით, ესე იგი:

| გატანა | შემოტანა |
|---|---|
| 27 812,402 | 11.452,145 |

იმავე გვერდზე (მეთცდაერთე სტრიქონი ქვეიდან) დაბეჭდილია:

| შემოტანა | გატანა |
|---|---|
| 39.358,000 მან; | 16 477,000 მ. |

უნდა იყოს შეცვლით, ესე იგი:

| გატანა | შემოტანა |
|---|---|
| 39. 358,000 | 16.477,000 |

## ჩვენი სახიობა.

ახალწელიწად ღამეს სადღესასწაულო წარმოდგენა იყო გამართული ქართული თეატრის მსახიობთა სასარგებლოთ. წარმოადგინეს პირველათ საგანგებოთ ამ წარმოდგენისათვის შეთხზული პიესა პეტრე უმიკაშვილის მიერ „სამზადისი". ეს ერთ მოქმედებიანი პიესა გვიხატავს ცოცხალ სურათებს ქართული თეატრის დაფუძნების დროისას; მით უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო ქართველი საზოგადოებისათვის ასეთი სურათების თვალ წინ გაცოცხლება. მართლაც იმ საღამოს დიდ ძალი ხალხი მოაწყდა ქართულ თეატრს. ადგილები რომ აღარ იყო, მრავალი სკამები მიადგეს იქ, საცა კი ცარიელი ადგილები მოიპოვებოდა; ფასიც არავის ენანებოდა; თუნდ ერთი ორათაც გადიხდიდენ, ოღონდ ადგილი ეშოვნათ. ყველას სურდა, ენახა ის ისტორიული მომენტი ქართული თეატრის დაარსებისა, რომელიც მთლათ კულტურული მოძრაობით იყო გამოწვეული თ. მ. ს. ვორონცოვის იერ; მისი უზენაესი კაცობრიული გულისწადილი დიდი სახელის მოპოებით დაგვირგვინდა. მადლობის ღირსია ბ-ნი პეტრე უმიკაშვილი, რომელმაც ასე საუცხოვოთ დაგვიხატა სცენაზე წარსული შესანიშნავი მომენტი ქართული გონებრივი აღორძინებისა თ. მ. ს. ვორონცოვის წაქეზებით და დახმარებით აღძრული. ქართული მსახიობნიც კარგათ იყვნენ გაწვრთნილნი ამ ახალი პიესის წარმოსადგენათ და მწყობრათაც ჩაატარეს ეს წარმოდგენა. საზოგადოების ინტერესი უმაღლეს წერტილამდე ავიდა იმ გარემოებით, რომ სცენაზე დაინახეს ჩვენი წარსული დროის მოღვაწენი შესაფერი ტანცმულობით, გრიმით და ზოგი მათგანი მიხვრა-მოხვრითაც. იმ საღამოს თითქოს მოჩვენებით გაგვიცოცხლდენ ჩვენი უკვდავნი: დიმიტრი ყიფიანი, თ გ. დ. ერისთავი, პლ. ეგ. იოსელიანი, თ. ვ. ორბელიანი და იმათ გარდა კნ. ქეთევან ორბელიანისა, თ. რევაზ ერისთავი, კნ. ბ. თუმანიშვილის ასული ანდრეევსკისა, თ. ილ. ორბელიანი, კნ. ტ. გაგარინისა, რომელიც დღესაც ცოცხალია, გრ. შანშიევი და სხვ. ამათი ნათესავნი, მახლობელნი და შთამოებანი თითქმის არავინ დაჰკლებიან იმ ღამეს და ყველანი აღტაცებულნი იყვნენ ამ შესანიშნავი სანახაობით. თვით მთავარ-მართებელი გოლიცინი დიდათ ნასიამოვნები დარჩა იმ ღამეს და ათი თუმანი შეწირა ქართველ მსახიობთა სასარგებლოთ. წარმოდგენას დაესწრენ აგრეთვე ირაკლი გრუზინსკის ასული და ლუციან მიურატი თავისი ახალ-შერთული მეუღლით.

ერთმა შესანიშნავმა შემთხვევამ გამოიწვია ზემოხსენებული პიესის «სამზადისის» შეთხზვა. 1892 წელს ქართული თეატრის გამგეობის თავმჯდომარე თ. გ. მ. თუმანიშვილი და გამგეობის მდივანი პეტრე უმიკაშვილი დიდ მწუხარებაში იყვნენ ქართველ მსახიობთა შევიწროებული მდგომარეობით. ქართულ თეატრს თან-და-თან უფრო დაეტყო ქართველი საზოგადოების გულგრილობა. წარმოდგენები იმართებოდა, მაგრამ როგორც თვით თეატრი, ისე მისი კასსა დაცალიერებული იყო. მაყურებელნი არსად იყვნენ. თვით მსახიობთაც ეკარგებოდათ ხალისი თამაშობისა მით უფრო, რომ ნივთიერათ შევიწროებულ მდგომარეობაში ჩავარდენ.

მართალია 1884 წლის აქეთ ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დააწესა ყოველი ახალი წლის მეორე დღეს საიუბილეო წარმოდგენა გამართულ ყოფილიყო ქართული თეატრის დაარსების სადღესასწაულოთ; ადგენდენ ხოლმე თ. გიორგი ერისთვის რომელსამე პიესას; მაგრამ ბოლოს აღარც ეს პიესები ახალისებდა მაყურებლებს. ამ მდგომარეობაში იყო საქმე, როდესაც ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე და მისი



წყალ კურთხევა თუშეთში.

მდიდანი ფიქრობდენ რამე ნაირათ გაეცოცხლებინათ ქართული სცენა არა ჩვეულებრივი მოვლენით და გამოეწვიათ ქართული საზოგადოების ინტერესი ქართული სცენისათვის. იმათ აირჩიეს და ბოლოს გადაწყვიტეს საიუბილეო წარმოდგენისთვის შეემზადებინათ ახალი პიესა, რომელშიაც აღმოხატული ყოფილიყო საუკეთესო მომენტი ქართული თეატრის დაარსებისა. ეს საქმე იკისრა გამგეობის მდივანმა პ. უმიკაშვილმა და ისტორიული მომენტის საგნათ აიღო თ. გ. ერისთვის პიესის «გაყრის» პირველი რეპეტიცია, მომხდარი მაშინდელი ღიმნაზიის დარბაზში, სადაც უნდა დასწრებოდა თ. მ. ს. ვორონცოვი. პიესის როლები იკისრეს თვით მაშინდელი უმაღლესი წოდების საუკეთესო განათლებულმა და გავლენის მქონე წევრებმა.

თუ რამდენათ დიდ მნიშვნელოვანი იყო ეს ამბა-

ვი ქართული გონებრივი წარმატებისათვის, მისი კულტურული მოძრაობისათვის, ამას გვიმტკიცებენ ზოგიერთი მწერლების გამოკვლევანი და თანამედროეთა მოწმობა. არც ბ. პეტრე უმიკაშვილს დაუზარებია მასალის შეკრება თავისი პიესისთვის. იმის შეთხზვის დროს ჯერ კიდევ ცოცხლობდა კნ. ქეთევან ორბელიანისა, რომელსაც უკანასკნელ დრომდე ღრმა მოხუცებულებაში მყოფს შერჩენოდა საკვირველი მეხსიერება და ყოველივე დაწვრილებით




ეამბნა პეტრე უმიკაშვილისათვის. ამ პირის მოწმობა მით უფრო ძვირფასი გამოდგა პიესის შესადგენათ, რომ იგი იყო იმ დროს თვით მაშინდელი სცენის მოყვარეთა გუნდის სული და გული.

ამ მომენტის დასახასიათებლათ გადმოვწერთ რამდენსამე ალაგს სტატიიდან „ორმოც-და-სამი წელი ქართულის თეატრისა", რომელიც იყო დასტამბული 1893 წელს „კვალის" №-2-ში:

„ვინ წარმოიდგენს იმ გაჭირვებას და დაბრკოლებას, რაც გ. ერისთავს აუტანია იმ დროებაში ქართული სცენის დაარსებისთვის. ეს ის დრო იყო, როცა ჯერ კიდევ ძველი ჩვეულებისა და დარბაისლობის სული ტრიალებდა საქართველოში. მრისხანე აჩრდილი წარსულისა ბატონიშვილის მარიამის *) შუღლიანი სახით წამომდგარი, არ აძლევდა მოსვენებას ახალ თავ-მოხდილ და შლაპებ დახურულ კნეინებსა და კნიაჟნებს. მაგრამ ახალ ფუქსავატ ცხოვრებას შეჩვეულნი [მანდილოსანნი მაინც ჩუმჩუმათ იმ განცხრომისაკენ მიისწრაფოდნენ.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება, ცოტად არის, არ შეწყობდეს გ. ერისთვის მოქმედების დაბრკოლებას.

ქართველ საზოგადოებას სცენა მასხრებისა და ჯამბაზების სათამაშო ასპარეზათ ჰქონდა იმ დროს წარმოდგენილი, ხოლო კომედია და დრამა ჯამბაზობათ. მაღალი წოდებისა და გვარის კაცი, ანუ ქალი იმდენათ როგორ დაიმცირებდა თავს, რომ სცენაზე გამოსულიყო და ჯამბაზის სახელი ეტვირთა; ამას ისიც უნდა დავძინოთ, რომ თითო-ოროლა კაცი, რომელიც იმ დროს მეცნიერათ და ფილოსოფოსათ იყო განთქმული, ზურგს უკან და პირშიაც მრასხავდა ჩვენ დრამატურგს.—მაგალითათ პლატონ იოსელიანი, რომელსაც იმ დროს დიდი ფილოსოფოსობის სახელი ჰქონდა დავარდნილი, გამხნევების მაგიერათ კრიტიკებს უგეთებდა და ლანძღავდა კიდეც: „დიდი თავხედობა არისო თეატრის გამართვა, ლონე არა გვაქვსო, თეატრის საშუალებით მეძავკურობა გაგვიჩნდებაო" და სხვ.

მეორე მხრით თ. რ. ერისთავი ცდილობს ეს ჩინებული საქმე სათავეშივე ჩაშალოს, კრეფს ქუჩის ხმებს და იგონებს: „ხალხში ხმა გავრცელებულა კომედიანტები ჩამოსულან და ჯამბაზობას მართავენო". ერთი მხრით ეს წვრილმანი ინტრიგები და მეორე მხრით ბატონიშვილის მარიამის შუღლი [ისე მოქმედებდენ მაშინდელი მაღალი წოდების სცენის მოყვარეებზე, რომ მზათ იყვნენ გაქცეულიყვნენ და საქმე აღარ შემდგარიყო.

რომელი ერთისთვის უნდა გაეძლო გ. ერისთავს?

*) ბატონიშვილი მარიამი იყო იმერეთის მეფის სოლომონ მეორის და, შვილიშვილი მეფის ერეკლე მეორისა.

ბატონიშვილის მარიამის ტუქსვისათვის, პლატონ იოსელიანის ხუმრული ლაპარაკისათვის, თ. რევ. ერისთვის ხრიკებისათვის, თუ მის. ჭილაძის ქართულ-რუსული გამოთქმის უვარგისობისათვის...

მაგრამ ამ საქმეში დიდი შემწეობა აღმოუჩინეს გ. ერისთავს დიმიტრი ყიფიანმა და კნ. ქეთევან ორბელიანისამ, რომელნიც ამხნევებდენ მას და თავისი კეთილი გავლენით იჭერდენ ხელში სცენის მოყვარეთა....

თვითონ გ. ერისთავს მართლაც დიდი მხნეობა უნდა გამოეჩინა, რომ ცალკე ქვეყნის უთავბოლო კიცხვისათვის გაეძლო და ცალკე დიდ-კაცობის წრიდან შედგენილი სათეატრო დასი შეემაგრებინა... მაგრამ გ. ერისთვის და მისი ამხანაგების (დიმიტ. ყიფიანის და სხვ.) აღტაცებულმა თანაგრძნობამ იმდენი მხნეობა და ძალა აღმოაჩინა, რომ 1850 წელს 2 იანვარს ქართველმა საზოგადოებამ პირველად დაინახა სცენაზე თავისი უმგზავსო ცხოვრება, რომელიც მიდიოდა ქორ მეშბრების დევნაში, განათლებული მებატონის ფუქსავატობა, ჩვენებური ვაჭრების გაიძვერაობა და იმათ ხელში გადასვლა ქართველების ადგილ-მამულებისა. უოველსავე ამ გვარ ცუდს მხარეს წარსული შთამოებისას მოყვა ის სამწუხარო შედეგი, რომელსაც დღეს ვხედავთ ჩვენი თავად-აზნაურობის გადატაკებაში."

ასეთი დიდი მნიშვნელობის იყო გ. ერისთვის და მისი თანამოაზრე კაცების მოღვაწეობა ქართული თეატრის დასაარსებლათ. ბ-ნმა პეტრე უმიკაშვილმა ჩინებულათ დაგვიხატა თავის ერთ-მოქმედებიან სცენებში გარეგანი მხარე იმ დროის ვითარებისა. ქართული საზოგადოება ცხოველ თანაგრძნობას არ მოაკლებს ასეთ დრამატიულ ნაწარმოებს. ჩვენი მსახიობნი უეჭველათ კიდევ რამდენჯერმე დადგმენ ამ პიესას და გააუმჯობესებენ, როგორც გრიმს, ისე მომქმედ პირთა მაშინდელ დამახასიათებელ მიხვრა-მოხვრას. ვუსურვოთ ბ-ნ პეტრე უმიკაშვილს, რომ მან შემდეგში სცენაზე დაგვანახვოს უფრო ღრმათ გამოხატული სურათი მაშინდელი ცხოვრებისა, აღნიშნოს უფრო ძირითადი მიზეზები და მოტივები იმ დროინდელი კულტურული მოძრაობისა.

მაზაკვალი.



## ქ უ ჩ ა ზ ე.

სახე ნაცემი, დაკაწრული, ჩაშავებული
იწვა ქუჩაზე პერანგისა მხოლოთ ამარა,
მის გვერდზე ევდო არაყისა უძირო ბოთლი,
მისი მტარვალი... მაინც იმან დაასამარა!
ეძინა ქვაზე, ქუდი ბალღებს გაეგდოთ ფეხქვეშ,
ზოგი თავბოლოს მოსდგომოდა, თითქოს ცხედარსა,
ცუღლუტნი, რაცლას დუდუნებდენ, ანდერძს უგებდენ,
და საკმევლათაც მტვერს აყრიდენ შეთელილს თმასა.
იქავე ახლო ქალაქის ბრბო სცემდა ტაში-ტაშს
ლაზღანდარობდენ მშიერ კუჭით კონკისძველები,
თუმცა-კი ამდროს გულში შურით უცქერდენ მუშას,
მაგრამ დღეს მხოლოთ ერთმა იგძნრო „კუჭ გასათბობი“
ოხ, გიცნობ, გიცნობ, ბრბოვ, ამ ქვეყნის აჩრდილთა დასო,
ვიცნობ აღგზნებულს შენსა თვალებს, სახე-ფაფალოს,
ვიცნობ დაცქვეტილს შენსა ყურებს ქალაქის ბალში,
რომ ქუჩის მცველი არსაიდან გამოგეპაროს.
გიცნობ შენც, ძმაო, ბევრჯელ ოფლით ჩამოწუწული
ერთი კარიდან მეორეზე გადადიოდი,
რეკამდი ზარსა, მაგრამ კვალად ნუგეშ მიხდილი
მწარე სიტყვებით უკუღმართ ბედს შემოჩიოდი.
და, აჰა, ახლა ხელთ გიგდია მისი ფიალა,
მოგიწყვეტია ეგ ყვავილი ცხოვრების ველზე,
ეგ არს გვირგვინი, სასოება შენი ტანჯვისა,
ეგ გიპოვია ცხოვრებისა, ძმაო, კარებზე!

ი. ევდოშვილი.

## რ უ ს ე თ ი 1897 წელს. *)

ნაკლებათ გაულიმა ბედმა რუსის „აგრარიებს“ ამ სამრეწველო ბურჟუაზიის მოწინააღმდეგე ეკონომიურ ძალას. იქნება ეს მოწინააღმდეგობაც იყო მიზეზი, რომ აგრარიებმა ამდენი კლასსური ენერგია გამოიჩინეს, ამდენი ილაპარაკეს თავის თავზე. ბ.ბ. ჩიჩერინის, სტახოვიჩის, ტიმირიაზევის, შჩაპოვის, 1) ბუტმი-დე-კაცმანის ბაგით მათ საკმაოთ ნათლათ და გასაგებათ განგვიმარტეს თავისი კლასსური პროგრამა. თითქმის რუსეთის ყველა კუთხეში დაჰკრეს ბუკი და ნაღარა: „სოფლის მეურნეობის“ წარმომადგენელნი უნდა შევერთდეთ, მჭიდრო ორგანიზაცია შევადგინოთ სამრეწველო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველათო. იმ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ვითომდა ისწრაფის

*) იხ. „კვალი“ № 1.

1) რედაქტორია აგრარიების ტიპიური გაზეთის „Русскій трудъ“.

„საბოლოოთ დაამხოს რუსეთის მიწათ-მოქმედება და მიწათ მფლობელობაო". ჩვენი აგრარიები მეტათ უჩივიან სასოფლო მეურნეობის კრიზისს და თანაც აშკარათ აცხადებენ თავის მიდრეკილებას ბიმეტალიზმისაკენ, რაიც ნიშნავს ვერცხლის ფულის თავისუფალ მოჭრას. ამ რეფორმიდან გამოელიან სარგებლობა ერთი მხრით, როგორც ბანკერის მოვალეები და მეორეს მხრით, როგორც პურის საზღვარ-გარეთ გამტანი. იგინივე თხოულობდენ შეღავათიან ტარიფებს და პურის ფასების ხელოვნურათ აწევას, რაიცა, იმათი აზრით, წინაალმდეგ ბ.ბ. პოსნიკოვის ჩუპროვის და სხვათა გამოკვლევისა, (იხ. „**Вліяніе урожаевъ и хлѣбныхъ цѣнъ**") აუცილებელათ საჭიროა სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის. არა ნაკლები ენერგიით შუამდგომლობდენ შეემცირებინათ ბაჟი საზღვარ-გარეთელ თუჯზე, რკინაზე დ სამიწათ-მომქმედო იარაღებზე. დასასრულ მათი პროგრამის არსებითი პუნქტებთა შორის არა მცირედი ადგილი ეჭირა საერთო პროფესიონალურ განათლების გავრცელებას (საზოგადოების ყველა წრეებში) და ერობის სამოქმედო ასპარეზის გაფართოებას....

მეურნეთა ყველა აქ აღნიშნულ მოთხოვნილებათ-გარდა ბიმეტალიზმისა-მიუცილებლათ პროგრესიული ხასიათი აქვთ; თვით ტეხნიკის განვითარება მიერეკება მათ ამ გზაზე. ამიტომაც ამას მთავრობაც ჯეროვან ყურადღებას აქცევს. ჩვენი აზრით აგრარიების ამ მოძრაობის განვითარება, რომელსაც უეჭველათ ბრწყინვალე მომავალი ელის — შესამჩნევათ წინ წასწევს რუსეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ და საზოგადოთ კულტურულ გაევროპიელების საქმეს. თუ დღეს გაბატონებულ კლასის ერთი ნაწილის ინტერესები პირდაპირ ეჯახება ამავე კლასის მეორე ნაწილის ინტერესებს და მით ძირს უთხრის არსებულ ცხოვრების საფუძველს, უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგში უფრო მეტის მოწმენი ვიქნებით.... ორ ძლევა-მოსილ საზოგადოებრივ ძალთა ინტერესების კონფლიკტი (შეჯახება) მოასწავებს შესამჩნევი ნაბიჯის გადადგმას ეკონომიურ და კულტურულ განვითარების გზაზე....

სულ სხვა გვარათ იქცეოდა „ველური" მებატონე. მაშინ, როდესაც მისი კულტურული თანამოძმე მომეტებულ შემთხვევაში პროგრესსიულ მიდრეკილებას იჩენდა, „**Гражданинъ**"-ის და „**Московскія Вѣдомости**"-ს თაყვანის მცემელი მხოლოთ რეაქციონურ და უტოპიურ პროექტების შედგენას ანდომებდა დროს. ხან ევედრებოდა სადაც ჯერ არს ახალი შეღავათი ებოძებინათ ბანკის ვალების შესამსუბუქებლათ (მაინც მიაღწია $^1/_2$ $^0/_0$ დაკლებას) ხან ითხოვდა მაიორატს და მამულის დაგირავების აკრძალვას, სამხედრო სამსახურში (ჯარში, გვარდიაში თუ ფლოტში) შესვლის მონოპოლიას და სხ. და ამასთანავე—რაც უფრო რეაქციონური უტოპიაა — „ველური" მებატონე ცდილობდა აღედგინა ზოგიერთი 61 წ. რეფორმით სამუდამოთ დაკარგული წოდებრივი უფლებები. როგორც წინათ, ისე წარსულ წელსაც დაცემული ფეოდალი დაჟინებით გაიძახოდა: სოფლის ხალხი „გარყვნა" — „გაალახანდა"; აუცილებლათ საჭიროა გლეხობის ზნეობრივი ხელმძღვანელობა თავად-აზნაურობას ჩაბარდეს, აუცილებლათ საჭიროა სასოფლო სკოლები სამღვდელოებას გადაეცეს და სხვა. რამდენათაც ახალი პირობები უფრო და უფრო შეუბრალებლათ მიერეკება საისტორიო სცენიდან თავად-აზნაურობას, იმდენათ ეს უკანასკნელი უფრო უმატებს და აძლიერებს თავის რეაქციონულ მისწრაფებას. დააბრუნოს უკან ისტორია, აღადგინოს-რამოდენათმე მაინც ხალხის მონობა—აი მისი იდეალი. რამდენათაც უფრო აუცილებელი ხდება თავად-აზნაურობის სრული დამარცხება, იმდენათ იგი უფრო დაჟინებით უბრუნდება „დიდებულ წარსულს", როცა ის ყოველგან თავისუფლათ ბატონობდა, მაგრამ წარსულის აღსადგენათ იგი სამკვდრო სასიცოცხლოთ უნდა შეებრძოლოს დღევანდელ ძლევა-მოსილ კლასებს. ასეთი გამბედაობა კი გაღატაკებული აზნაურის მხრით მეტის-მეტი კადნიერება იქნებოდა....

რაც შეეხება წვრილ ბურჟუაზიას და ესრეთ წოდებულ „დამოუკიდებელ" გლეხობას, რომელთა ინტერესებსაც ჩვენი „ნაროდნიკული" პრესსა იცავს, უნდა ვთქვათ, რომ მათ არავითარი ახალი პუნქტი თავის პროგრამაში წარსულ წელს არ წამოუყენებიათ. როგორც წინათ, ისე შარშანაც ისინი ერთ თავათ ლაპარაკობდენ წვრილ „სახალხო" კრედიტზე, იაფსა და გაუმჯობესებულ სამუშაო იარაღებზე, ბაზრის მოპოვებაზე, მიწათ-მფლობელობის გაფართოებაზე, შემნახველ-გამსესხებელ კასსებზე, მომხმარებელ მწარმოებელ ამხანაგობებზე და სხ. აგრეთვე საზოგადოთ ყველა იმ ზომებზე, რომლ ბიც ხელს უწყობენ შრომის მოყვარეობას, სიფხიზლეს [1], განათლებას და სხვა. ბევრი ამ ზომებთაგანი, რამდენათაც მათი განხორციელება შესაძლებელია დღევანდელ ეკონომიურ პირობებში, პროგრესიული ზომებია; პროგრესიული იმ აზრით კი არა ვითომ მათ შეეძლოთ შეაჩერონ კაპიტალისტური განვითარება (ეს-„ნაროდნიკების" რეაკციონური ფანტაზიაა)... არა. პირიქით ისინი ხელს უწყობენ ამ (კაპიტალისტურ) განვითარებას, საზოგადოების სრულ დიფერენციაციას და წინააღმდეგ ჯგუფების შედგენას. ყველა წვრილ ბურჟუაზიულ პროექტს ან ასეთი მნიშვნელობა აქვს და ან სრულიად არავითარი, გარდა-იმისა რომ ცხოვრების სინამდვილესთან მიკარებისათანავე სამუდამოთ ჰქრება. ასეთი ბედი ეწვიათ შარშან მაგ. ხერსონელ-ლევიცკის „ამხანაგებს". გაცრუებულმა ლევიცკიმ თავის მოვალეობათ ჩათვალა თვითონვე ეს ამბავი საჯაროთ გამოეცხადებინა.

მაშინ როდესაც წვრილი ბურჟუაზია უნაყოფო ოცნებებს ეძლევა, საზოგადოების უმდაბლესი საფეხურიდან კი სულ სხვა კილოზე მომართული ლაღადი მოისმის: აქ ენერგიულათ გაისმის „შრომის სამართლიანი დაჯილდოვება", „ნორმალური სამუშაო დღე" და სხ. ეს უმდაბლესი ნაწილი საზოგადოებისა ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში გაბედულათ, მხნეთ მოგვძახის „მე ვიგინდარა ნუ გგონივართ, მეც

1) იგულისხმება ლოთობის წინააღმდეგი ბრძოლა

ადამიანის შვილი ვარო“. მართლაც და სხვილი კაპიტალისტური ინდუსტრია ისეთ ცხოვრების პირობებსა ჰქმნის ამ კლასისათვის, რომ იგი თან და თან იწვრთნება, იზრდება, გონებით ფხიზლდება, შეგნებულათ აფასებს გარშემორტყმულ პირობებს და სისწორით მიდის თავის მიზნისაკენ. „სოფლის იდილიის“ დამცველებმა რამდენიც უნდა ილაპარაკონ ქალაქის ცხოვრების „გახრწნილებაზე“. რამდენიც უნდა იყვირონ ფაბრიკის მუშათა ლოთობაზე, დაცემაზე და მათ ფიზიკურსა და გონებრივ გადაშენებაზე, მაინც დღესავით ცხადია, რომ მხოლოთ აქ, და არა სოფლათ, იბადება ის შეგნება, რომ შენი ცხოვრების ცოტათ თუ ბევრათ ადამიანურათ მოსაწყობათ, შენ თვითონ უნდა შეეცადოვო. აი კიდეც ამ შეგნებული ცდის ნაყოფი იყო 2 ივნისის კანონი, რომელიც ნორმარულათ სცნობს $11^1/_2$ საათის სამუშაო დღეს. რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს ამ კანონს (და ნაკლულევანებას კი არა ერთს ვუპოვნით, განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ ფინანსების სამინისტროს „დამატებებს“) მარტო მის გამოცემასაც კი, როგორც შრომისა და კაპიტალის ურთიერთობათა შედეგს, მეტათ დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს. ის აამაღლებს მუშის პიროვნებას, ასწევს მთელ კლასის ძალას და მნიშვნელობას და მას ერთ საყურადღებო ფაქტორათ გადააქცევს. აი რატომ წარსული წლის ივნისის კანონი ერთ უდიდეს ფაქტათ უნდა ჩავთვალოთ და ქრონიკაშიაც საპატიო ადგილი უნდა დავუთმოთ. საბუთი გვაქვს ვიმახარობლოთ, რომ გამოჩნდა პირველი მერცხალი, რომელიც უტყუარი მომასწავებელია ნამდვილი გაზაფხულის მოახლოვებისა....

ეხლა კი მეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ წარსულ წელს რამდენიმე გაზეთი როგორც „Сибирь“ „Сибирскій Вѣст.“, „Лучъ“ „Міръ отг.“ „Хозяинъ“ „Сынъ Отечества“, „Биржевыя Вѣдомости“, „Русскій Трудъ“ და სხვა რიგრიგათ თუ რამდენიმე ერთათ დასჯილი იქმნა, ხოლო „Самарскій Вѣстникъ-ი, და „Новое Слово“, სამუდამოთ გააუქმეს.

დასასრულ, არ შეგვიძლია არ მოვიხსენიოთ ვისლის ნაპირებზე მომხდარი „დაძმობილება“. პოლონეთის სავაჭრო-სამრეწველო და აგრარიულ ბურჟუაზიამ კარგათ შეიგნო, თუ რა დიდათ საჭირო იქნებოდა მისთვის რუსეთთან მეგობრობის დაჭერა, როგორ შესამჩნევათ გააფართოვებდა ეს მისთვის საჭირო ბაზარს და აი კიდევაც დაადგა შერიგების გზას. ამით მან ნათლად დაგვანახა, რომ მისი ინტერესები სრულიად ეთანხმებიან რუსეთის ხელმძღვანელი კლასის ინტერესებს. ეს მეტათ საგულისხმო მოვლენაა ზოგიერთა ქართველ პუბლიცისტთათვის.

— ъ.

## ე ვ რ ო პ ა 1897 წ. *)

### 1. საგარეო საქმეები

ევროპის საგარეო საქმეთა მსვლელობა მჭიდროთ შეკავშირებულია საშინაო საქმეთა მსვლელობასთან. ეკონომიურ განვითარებამ დაბადა კლასთა ბრძოლა ერთ და იმავე ერში და გამოიწვია მეტოქეობა მსოფლიო ბაზარზე სხვა-და-სხვა ერთა შორის. დიდი მრეწველობა ვერ კმაყოფილდება შინაური ბაზრით, მისთვის საჭიროა უცხო მუშტარიც. ის არღვევს ნაციონალურ საზღვრებს და გადადის ყოველგან, ხმელეთის ყველა კუთხეზე. მისი სამფლობელო მთელი ქვეყანაა, მისი საბძანებელია როგორც დასავლეთი ისე აღმოსავლეთი, როგორც თეთრკანიანი ისე შავკანიანი ხალხი, მის ძლევა-მოსილობას ვერაფერი უდგება წინ, ის ანგრევს ჩინეთის კედელს, შედის აფრიკის უდაბნოში, ეძებს ველურ ხალხთ და მათ აჩვევს ევროპის საქონლის ხმარებას. ერთი სიტყვით სამრეწველო მიდრეკილება არის ერთი უდიდესი მუჯლუგუნი ყველგან ევროპის გავლენის დასამყარებლათ. და რადგანაც თითოეული წინ წაწეული ერი ამასვე ცდილობს, ცხადია ისინი ერთმანეთს ხვდებიან და უპირატესობისთვის ერთმანეთს ებრძვიან. ამისთვის სახელმწიფო იძულებულია თვისი წევრი დაიცვას და მისი ინტერესი არავის ფეხქვეშ არ გაათელინოს. აქედან, დაარსება საელჩოსი, განწესება კონსულების, დაგზავნა საომარი ხომალდების, დაპყრობა ახალ-შენების, გამართვა სავაჭრო ხელ-შეკრულებების და სხ. და სხ. ხალხი რაც უფრო აღორძინებულია ეკონომიურათ, მით უფრო გაძლიერებულია მასში პირადი თაოსნობა და ენერგია ახალ-ახალ ბაზრების დასაპყრობათ. ამის ერთ დიდ მაგალითს ინგლისი წარმოგვიდგენს. „ჩვენი კოლონიები დაარსებულ იქმნენ კერძო პირთა მეცადინეობით; მათი დაციდარაბა ატყდებოდა მხოლოთ მაშინ, როცა მათ მთავრობა მიაქცევდა ყურადღებას და დახმარების მაგიერ გაჭირებაში ჩააგდებდა. მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც ირჩენდენ შეძენილ მიწაწყალს და ინგლისის სამფლობელოთ აქცევდენ. ინდოეთის იმპერია დაარსა ვაჭართა კომპანიამ, ურომლოთაც, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, მისი შეძენა შეუძლებელი იყო. ჩვენი ვაჭრობა შორეულ ქვეყნებთან კერძო თაოსნობის ნაყოფია და სახელმწიფო იშვიათათ, კრიტიკულ დროს, თუ ეწევა, უფრო ხშირათ კი ხელს უშლის“ — ამბობს ინგლისის მოწინავე გაზეთი (Times $^{20}/_{8}$, ოკტომ. 97.)

ამ ნაირათ, ერი ეკონომიურათ გაღონიერებული შიგნით, ღონიერდება გარეთაც. ამ განვითარების პირველ საფეხურებზე, როცა კლასთა განხეთქილება და სოციალური უთანხმოება სუსტია, სახელმწიფოს მთელი ყურადღება გარეთ არის მიქცეული, მისი მიზანია რაც შეიძლება მეტი ალაგები ჩაიგდოს ხელში, რაიცა, რასაკვირველია, ხშირ ომს და შეჯახებას იწვევს. მარა, როცა შიგნით ახალ ახალი კითხვები ვითარდებიან და კლასთა ბრძოლაც მწვავდება, მაშინ ერის მთელი ყურადღება შინაური საქმეებით არის მოცული და თავის ძალღონეს ამათ მოწყობ-მოწყობას ანდომებს. ამ შემთხვევაში, ცდილობენ საერთაშორისო კონფლიქტი მშვიდობიანი მორიგებით დააბოლოვონ. სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია დღეს დასავლეთი ევროპა. წავიდა ის დრო, როცა ხალხის თვალის ასახვევათ ომს გამოიწვევდენ და მით მის ყურადღებას შიგნიდან გარეთ გაიტყუ-

ებდენ. ამ პოლიტიკის ნაყოფია ფრანგ-გერმანელთა ომი 1870 წ., რის შედეგი დღესაც მძიმეთ აწევს ევროპას. ახლა ასეთი თვალთმაქცობა ადვილი აღარ არის, ხალხი დაჭკვიანდა, თეთრს შავისაგან არჩევს, პოლიტიკაში შეგნებულათ მოღვაწეობს. აი რატომ, ევროპის ყველა სახელმწიფოებს, მიუხედავათ სხვა-და-სხვა კავშირისა, პირზე მშვიდობიანობა აკერია. თათარ-ბერძენთა ომმა ნათლათ დაგვანახა თუ როგორი ერთსულობით იცავდნენ ისინი მშვიდობიანობას. აშკარაა, საშინაო საქმეების არევ-დარევა აწესრიგებს საგარეო საქმეების ნორმალურ მსვლელობას. თუმცა ასეთია საზოგადო მიდრეკილება მთელი ევროპის, მარა მისი თითოეული ნაწილი ამაში სხვადასხვანაირ როლს თამაშობს. ყველაზე უფრო აწეწილია საფრანგეთის, გერმანიის და ავსტრიის საშინაო საქმეები; ამიტომ მათ დღეს ყველაზე ნაკლები გავლენა აქვთ საგარეო პოლიტიკაში. ამ საუკუნის დიპლომატიის ჩარხი მე-70 წ.წ. პარიჟში ბრუნავდა, შემდეგ ბერლინში გადავიდა, ხოლო ახლა ის მოშორდა ორივეს და პეტერბურგში ატრიალდა. ამ ნაირათ, დასავლეთი ევროპის მდგომარეობით დღეს მხოლოთ რუსეთი სარგებლობს. რუსეთის ერთათ ერთი პირდაპირი მოწინააღმდეგე არის ინგლისი, მარა მისი განკერძოებული მდგომარეობა აფერხებს შესაფერათ იმოქმედოს. ინგლისს უთანხმოება აქვს საფრანგეთთან ეგვიპტის გამო და გერმანიასთან ვაჭრობის გამო. ინგლისის ბურჟუაზია ჯვაროსანთა ომს ქადაგობს Madezin Germany-ს —გერმანიის საქონლის— წინააღმდეგ და ცდილობს ეგვიპტე და იქიდან აფრიკის მეტი ნაწილი სამუდამოთ ხელში ჩაიგდოს. ამ ნიადაგზე შესაძლებელია გერმანიის და საფრანგეთის ერთობა ინგლისის წინააღმდეგ, რასაც რუსეთიც მიემხრობა, მეორე მხრით, ინგლისს შეუძლია მოურიგდეს საფრანგეთს და გერმანიასთან დროებითი Madul vivend ჩამოაგდოს და ორივე რუსეთის წინააღმდეგ წაიყვანოს. მარა ვერც ერთი ეს მოსაზრება დღევანდელ პირობებში ვერ განხორციელდება. 1870 წლის ომმა ისეთი ორმო ამოთხარა საფრანგეთს და გერმანიას შორის, რომ ამის ამოვსება და ზედ ფეხით გასვლა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ჯერ კიდევ ომი არ იყო დაბოლოვებული, რომ გერმანიის მუშათა პარტია თავის მანიფესტში წერდა: „ახლა ეს დამოკიდებულია გამარჯვებულ გერმანელთაგან, ეს ომი სასარგებლო თუ საზიანო იქნება. შემოიერთებენ ელზას-ლოტარინგიას? — ეს ნიშნავს საფრანგეთის რუსეთთან შეკავშირებას და გერმანიის საერთო ძალღონით დაძარცვას...“ (5 სექტემბერი 1870 წ.) წინასწარმეტყველება გამართლდა, ფრანგ-რუსთა კავშირი დიდი ამბით გამოცხადდა გასულ წელს. ამ გარემოებამ ინგლისი კიდევ უფრო დაამორა კონტინენტს და გერმანია დაუახლოვა რუსეთს. უკანასკნელი, მდებარე ორ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის, ცდილობს ეს კავშირი შეასუსტოს, შეამსუბუქოს იმით რომ რუსეთს არავითარი საბაბი არ მისცეს ფრანგთა გულის-ნადების სისრულეში მოსაყვანათ. ამისათვის ის იძულებულია რუსეთთან იკუდა-მელიაოს, ტკბილ-ტკბილი სიტყვები უთხრას, თავზე ხელი მოუსვას. ხოლო გერმანიის პოლიტიკას ავსტრია ემხრობა, როგორც მისი მოკავშირე და მონათესავე სახელმწიფო. აქედან აიხსნება რუსეთის წინამძღოლობით საფრანგეთ-გერმანიის ერთათ დადგომა ჩინეთ-იაპონიის და სათათრეთ-საბერძნეთის ომის დროს. ამის შედეგია, აგრეთვე, ვენის და პეტერბურგის კაბინეტთა საერთო ნოტა ბოლგარიის და სერბიის მიმართ: გაფრთხილებთ, არამც-და-არამც არ ჩაერიოთ ომში სათათრეთის წინააღმდეგო.

ამგვარათ, ინტერესთა წინააღმდეგობა გერმანიას და საფრანგეთს შორის ერთი მხრით, ინგლისს და კონტინენტის შორის მეორე მხრით—აი ის საერთო ფონი, რომელზედაც დღეს ევროპის საგარეო პოლიტიკა წარმოებს. აქ წინ დგას რუსეთი, მის გვერდითაა საფრანგეთი, მის პირდაპირ გერმანია, რომელსაც ცალი ხელი წინ გამოუწვდია და მოახლოვებას აპირებს, ხოლო მეორე ხელი უკან წაუღია და ავსტრია-იტალიას თავისკენ იზიდავს; განზე დგას ინგლისი და ამათ უთვალთვალებს, აბა როდის აირ-დაირევა ეს მიხლართ-მოხლართული განწყობილებაო, ხოლო სულ უკან დასავლეთი ევროპის მუშა-ხალხია, რომელსაც არც ერთი ეს ახიბულ-ჩახიბულ მდგომარეობა არ მოსწონს და რომელიც ბურჟუაზიის ასეთ პოლიტიკურ ჩმახვას ებრძვის. მისი იდეალია ერთა შორის მშვიდობიანობა და ყველა ქვეყნის მუშათა ერთობა.

ევროპის ბურჟუაზია, მიუხედავათ სხვა-და-სხვა „კავშირებისა“, უფრო ეტანება თავისი ეკონომიური ძალ-ღონის გაძლიერებას, ვინემ ომის ველზე სისხლის ნთხევას. აი, მაგ. რა თქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა ფორმა პარიჟის ვაჭართა კრებაზე (2 ოქტომბერს): მოიხსენია რა რუსეთთან დაკავშირება, განაგრძო: „არ დავკარგოთ არც ერთი წუთიც, ახლავე შევეცადეთ ახალი ბაზრების დაპყრობას, გამართეთ მრავალი ქარხნები უცხოეთში, გადაიტანეთ კაპიტალი იქ სადაც საჭიროა და საიდანაც ორ-კეცათ დაბრუნდება თავის სამშობლოში“... და სხ. აი როგორ იყენებს საფრანგეთი „კავშირს“. არა ნაკლებ სარგებლობს ამით თვით რუსეთიც, ის სესხულობს საფრანგეთიდან ფულს (უკვე 5 მილიარდი აქვს ნასესხები), ავითარებს შინაურ მრეწველობას, აწესრიგებს ვალიუტას და სხ. ამასთანავე პოულობს დიდ გავლენას ჩინეთში, კორეაში, სათათრეთში და სხვაგან. დღეს რუსეთის ინტერესი სრულიად არ მოითხოვს ომს. მისი ისტორიული მოწოდებაა შიგნით ეკონომიურათ განვითარდეს, ვაჭრობა და მიმოსვლა ააღორძინოს, ფული დაატრიალოს და სიმდიდრე შექმნას. ამ გზაზე ის უკვე შედგა და ზედ სწრაფი ნაბიჯით მიექანება. ხოლო ომიანობა შეარყევს მთელ ამ პროცესს და ქვეყანას რამდენიმე ათი წლით უკან დასწევს, რუსეთს კი ძალიან ეჩქარება რაც შეიძლება ადრე გაუთანასწორდეს დასავლეთ ევროპას ეკონომიურათ როცა ეს ასე მოხდება, მაშინ მთელი დღევანდელი საქმეთა-ვითარება შეიცვლება და პოლიტიკაც გადასხვაფერდება....

ამნაირათ, ევროპის დიდ სახელმწიფოთა ინტერესს დღეს მშვიდობიანობა შეადგენს. ერთათ ერთი

საგანი ომიანობისა შეიძლება გახდეს სათათრეთი, რომელსაც პირველ ნაპოლეონმა L'Homme malade—ავათმყოფი კაცი უწოდა. და მართლაც ეს ადამიანი ახირებული სენით არის შეპყრობილი, მუდამ ავათმყოფობს და მუდამ კარგათ არის! და მერე იცით ვინ არიან მისი ერთგული ექიმები? ეს გახლავთ ევროპის სახელმწიფონი! ესენი ისე უფრთხილდებიან თავის ავათმყოფს, რომ ერთმანეთს პირობა მისცეს რაც უნდა მოხდეს მისი ჯან-მთელობა მაინც დავიცვათო. ამით აიხსნება ის საკვირელი გარემოება, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც ამ საუკუნის დასაწყისში ბერძენთ დაეხმარენ თათრების წინაამდეგ, გასულ წელს თათრებს დაეხმარენ ბერძენთ წინაამდეგ. აი როგორ შეტრიალებულა საერთა შორისო პოლიტიკა. რატომ მოხდა ეს? ნუ თუ სათათრეთის სიყვარულით? სრულიადაც არა. ამას მოითხოვს ევროპის ინტერესი. თათრების ევროპიდან განდევნა ძლიერ ადვილი საქმეა, ხოლო მათი სამკვიდროს მიღება კი ძალიან ძნელი გახლავს. ის სახელმწიფო, რომელიც კონსტანტინეპოლს მოინდომებს, მთელ ევროპას უნდა შეეტაკოს. ეს აუცილებლათ საყოველთაო ომს გამოიწვევს, რასაც ასე ერიდება ევროპა. ცხადია, სათათრეთის დარღვევა—ეს ევროპის სახელმწიფოთა არევ-დარევაა, ხოლო სათათრეთის შენახვა ეს მშვიდობიანობის შენახვაა. ასე და ამ ნაირათ დიდი სახელმწიფონი ჩუმათ ერთმანეთს ულრინავენ, ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავს საჯაროთ თქვას: სტამბოლი მინდაო და ბოლოს ყველა ერთათ გაიძახის სათათრეთის ხელ-შეუხლებლობა დავიცვათო. ხვანთქარი, რასაკვირელია, ამ მეტოქე სახელმწიფოთა შორის თამაშობს, ხან ერთს ეფერება და ხან მეორეს, ხოლო ყველას კი ჩინებული ზრდილობით აცურებს. ის დარწმუნებულია, რომ რაც უნდა აიწეწ-დაიწეწოს სათათრეთის საქმეები, რამდენი ათასი კაციც კი უნდა დახოცონ მისი უებარი მკურნალნი მაინც განაგრძობენ ყვირილს: ხელ-შეუხებლობა, ხელ-შეუხებლობაო. აი ასეთ ინტერნაციონალურ პირობებში ჩაყენებული სომეხთა მოძრაობა, ცხადია, ვერაფერ ნაყოფს ვერ გამოიღებს. სომხები მსხვერპლი არიან ევროპის მდგომარეობის და სანამ ეს უკანასკნელი არ შეიცვლება, მანამ მათ საქმეს არა ეშველება რა.

შორეულ აღმოსავლეთში, დიდი სახელმწიფონი ერთმანეთს ეცილებიან, აბა რომელი მოიპოვებს მეტ გავლენასო. როგორც უკანასკნელი ტელეგრამიდან ჩანს, ჩინეთს შემოესიენ იქიდან,-აქედან და საშველს აღარ აძლევენ, ერთი ახალ სავაჭრო ხელ შეკრულობას თხოულობს, მეორე ნავთ-სადგურს, მესამე რკინის-გზების დახსნის უფლებას და სხ. რუსეთს ნება ეძლევა თავისი ხომალდები პორტარტურის ნავთ-სადგურში გააჩეროს ზამთრობით, ხოლო გერმანიას კი კიო ჩაის ნავთ-სადგურში. ამავე დროს ინგლისი, როგორც ამბობენ, იაპონიასთან კავშირს ჰკრავს, უეჭველია ყველა ამათ წინაამდეგ. ამ ნაირათ, ევროპის დიდი სახელმწიფონი, როგორც კი აღმოსავლეთის კითხვას შეეხებიან, ერთმანეთს აღარ იხდობენ, ერთმანეთს ებრძვიან და ეცილებიან, შუღლს და შეტაკებას თესვენ და ამავე დროს ერთმანეთს არწმუნებენ, ჩვენ საშინელი თანხმობით ვმოქმედებთო! რომ ევროპის საშინაო საქმეები აწეწილი არ იყოს, ეს თანხმობა კაი ხანია აშკარა უთანხმოებათ გადაიქცეოდა და ვინ იცის რამდენი ერის ბედ იღბალი ძირიანათ შეიცვლებოდა...

ასე თუ ისე, ევროპას დღეს ორი „ავათმყოფი კაცი“ ყავს მოსარჩენი, ეს გახლავთ სათათრეთი და ჩინეთი. მაშ თვალ-ყური ვადევნოთ ამ ჯანაოზ ექიმის მოქმედებას....

ე—ა.

## ,,კუჭი გამიბატონდა‘‘.

(ა მ ბ ა ვ ი)


გიორგობისთვის ცივი დილა იყო. ექიმი ცხვირზე სათვალეებით, თავზე მაღალი ცილინდრით, თბილ ქურქში გამოხვეული ეტლში ჩაფუყულიყო და ადრიანათ სადღაც მიეშურებოდა.—„საით, ბატონო?“ იკითხა მეეტლემ პატარა ხანს იქით. —თფილისის ქუჩაზე, ქათამაძის სახლები!—მიუგო ექიმმა. „ვიცი, ბატონო‘‘, თქვა მეეტლემ და შოლტი გადაუქნია ცხენებს, რომ უფრო ჩქარა წასულიყვნენ. მცირე ხანს შემდეგ ეტლი გაჩერდა ერთი დიდი შენობის წინ. ექიმმა მეეტლეს მოცდა უბძანა, თითონ კი გადმოგორდა ეტლიდან, მივიდა კარებთან და ჩამოჰკრა ზარს. მაშინვე მივარდა ბიჭი, გაუღო კარები და ეცა ბატონს ქურქის მოსახდელათ. ,,ძინავს?‘‘ იკითხა ექიმმა. —არა, ბატონო! ახლა გამოიღვიძა ეს არის!—ექიმი შევიდა ავათმყოფის ოთახში, გაისწორა სათვალეები, ავათმყოფს საბანი გადაჰხადა და შეუდგა საქმეს. —უნახა მაჯა, გულზე ყური დაადვა, გადააგორა, გადმოაგორა, აქეთ მიუბრაგუნა, იქით მიუბრაგუნა და ეს ,,ცერემონია‘‘ რომ შეასრულა, ჰკითხა რა გტკივაო.

—კუჭი გამიბატონდა, მიუგო ავათმყოფმა.

—რას ამბობ! როგორ თუ კუჭი გაგიბატონდა?!

—კუჭი გამიბატონდა მეთქი!—გაიმეორა ავათმყოფმა.

—ჰმ!.. ,,კუჭი გამიბატონდა‘‘! ამ გვარ ავათმყოფობას მედიცინა ჯერ ვერ იცნობს და, მაშასადამე, მაგ სენით ავათმყოფს ვერას უშველის...

—კუჭი გამიბატონდა, კუჭი!.. შებღავლა ავათმყოფმა: ძუშაობას თავი გაანება, აღარაფერს იკლებს და ჭამის მადაც აღარა მაქვს... აბა, ამაზე მეტი გაბატონება კიდევ იქნება?!

—ჰოოო! ეგ არაფერია—თქვა ექიმმა. მოით-

ხოვა ქაღალდი, მიუჯდა მაგიდას, დაფიქრდა, თითქო რაღაც საიდუმლოს ასრულებსო, მერე უცბათ მიუსვ-მოუსვა კალამი და ყველაფერი გაათავა. „მიილო“ ორი ჭიქა ჩაი, „ფეხის ქირა“, ჩაჯდა ეტლში და გაუდგა გზას.

ავათმყოფი მალე გამომთელდა: ღონე მოემატა, ფერი მოუვიდა და მადაც კარგი გაეხსნა; კუჭი მოუღონიერდა, ასე რომ დღეში ოთხ ჯერ, სამ-ოთხ კერძს თითო ჯერზე, თამამათ და გაუჭირებლათ ინელებდა! ამას გარდა კუჭი, თითქო ჭკუა ისწავლაო, ჭამის მოახლოვების დროს ყოველთვის აჭყრიალდებოდა ხოლმე და მსახურებს ეძახოდა, დროა საჭმელი ჩამომაყაროთო! აბა, რასაკვირველია, ამისთანა კუჭს მოსამსახურეც ბევრი დაჭირდებოდა, ერთი თუ ორი რა თავს გაართმევდა!! ამას კუჭი თითონაც გრძნობდა. ერთ დღეს კუჭს სადილი დროზე ვერ მოართვეს. კუჭმა ერთხანს იჭუჭყუნა; მერე, რაკი სადილი მაინც არ იყო, გაწყრა, გარისხდა დაიბარა შიკრიკები თავ-ქუდ მოგლეჯილი აფრინა ოთხივე კუთხით და შემდეგი ბრძანება გასცა თავის სამეფოში: —ცხვირო! გიბრძანებ, ხშირ-ხშირათ სუნთქე და შეიტყვე, საიდან უფრო კარგი საჭმლის სუნი მოდის! თვალებო, თქვენ კარგათ დააცქერდით და გაარჩიეთ, რომელიც კარგი და მსუქანი კერძი იყოს, და თქვენ, ხელებო, თვალებისგან ამორჩეულ კერძს უცბათ ეცით და დროზე გამომიგზავნეთ! კბილებმა კი ხელებისაგან მოტანილი ლუკმის ჩამორთმევა და დაღეჭვა ულაპარაკოთ შეასრულონ! შიკრიკები დაბრუნდენ და კუჭს ამბავი მოართვეს, რომ მისი ბრძანება თავ-თავის ალაგას დარიგებულია. კუჭს სიამოვნება დაეტყო. მერე უცბათ ჩაფიქრდა და იკითხა, თავში იყავითო.—არ გხლებიართ, ბატონოო!—მოახსენეს.—„მაშ, ახლავე გასწით, ადით თავში და გონებას უთხარით, რომ მუდამ ის არჩიოს და იმაზე იფიქროს, რა დროს რა საჭმელი უნდა მომერთვას! ჩქარა! გესმისთ!!.“ შიკრიკები კისრის ტეხით გაფრინდენ გონებისკენ; უკანასკნელმაც თავი მოიხარა და „მორჩილი ვარ თქვენი ბრძანებისაო“ შეუთვალა ბატონ კუჭს. ამ ბრძანების გაცემას შემდეგ კუჭს ყოველთვის თავ-თავის დროზე მიუდიოდა ხოლმე საჭმელი: მისი შინა ყმები ერთგულათ ასრულებდენ ბატონისაგან ერთხელ და სამუდამოთ გამოცემულ ბრძანებას... კუჭი იბერებოდა, სქელდებოდა, ემატებოდა სიმსხო და მცირე ხნის განმავლობაში იმდენათ გამსხვილდა, რომ თავის დანიშნულს ალაგზე ველარ დაეტია, მიჭყეჭყ-მოჭყეჭყა შინა ყმები და მათი ადგილიც თითონ დაიჭირა!.. გამოიბერა წინისკენ, გვერდებისკენ, ერთი სიტყვით ყველას „ხაბარდას“ უძახდა! მალე სიგრძეზე მეტი განი გაუხდა და შეიქნა ბურთივით რგვალი. ოდესმე გრძელი ხელის თითები უზომოთ დამოკლა და ტიკჭორებივით დაჰბერა! ლოყები მწიფე ლეღვის ფერათ ამობუშტა და, საბრალო, შუაზე მომწყვდეული ცხვირი მთლათ ჩაეფლო შიგ; თვალებს უარესი დღე დაადგათ: ამათ ზევიდან შუბლი-წარბის ქონი ჩამოაწვათ, ქვევიდან ლოყებისა და გამოიჭეჭყუნ! ქინძისთავის ოდენაც აღარ მოჩანდენ!! თავი შემოდგომის კვახს დაემსგავსა, გარშემო ქონი შემოედვა, გონებას თავზე ქონი დააწვა და საცოდავათ იხუთებოთა... კისერი ხომ სულ აღარ მოჩანდა!.. დაგორავდა კუჭი ვეებერთელა ბურთივით, ჭამდა, სვამდა, ინელებდა და სიმსხო-განი ემატებოდა. მოინელა თითქმის მთელი თავისი ქონება! ბევრი აღარაფერი დარჩა. საბრალო შინა-ყმებს სძრაობა აღარ ჰქონდათ, რადგან ბატონ-კუჭისაგან იყვენ შევიწროვებულნი. და ღონეც რომ ჰქონოდათ, მისატანიც აღარაფერი იყო და კუჭი კი ყვიროდა, „მომართვით. მომართვითო!“ იყვირა, იყვირა და მეტი წყრომისა და მრისხანებისაგან ავათ გახდა. მოიყვანეს ექიმი. ჩვეულებრივ გაშინჯვას შემდეგ ექიმმა ჰკითხა, რა გტკივაო?

—კუჭი გამიბატონდა, მიუგო ავათმყოფმა: მოსვენება აღარა მაქვს...

—როგორ თუ კუჭი?! კუჭის გაბატონება?.. საკვირველი საქმეა!

—ჰო და გეუბნები, კუჭი გამიბატონდა მეთქი! ხელები, ფეხები, ცხვირი, თვალები და თვით ჭკუა-გონებაც ამის მოსამსახურე იყვენ; რაც შეეძლოთ ემსახურებოდენ კიდეც, მიჰქონდათ და მოჰქონდათ; ახლა მოსამსახურეები დაუძლურდენ, აღარც მოსატანი რამე არის და კუჭი კი იძახის, „მომართვით, მომართვითო“.

—აჰა!.. ახლა კი ვიცი შენ რა გტკივა, თქვა ექიმმა, გამოუწერა წამალი, გამოემშვიდობა ავათმყოფს და წავიდა თავისთვის. ერთ კვირას შემდეგ ურემზე დადებული კუჭი ორ ცხენს ძლივს მიჰქონდა სასაფლაოსაკენ. მოკვდა „კუჭი“; მაგრამ თუ ცოცხალს ბევრი იცნობდა, არც კვდარი შეიქნა მოძულებული, ერთმა ქვეყნის მეკობარმა კუჭს ქვა დაადვა და ზედ შემდეგი ეპატაფია დააწერა:

ამ ლოდს ქვეშე განისვენებს
მუცლის მონა „კუჭია“,
სასარგებლო კაცი იყო—
მიწა ერთი მუჭია!
„ჭამა და სმა შესარგოა,
სხვა სულ ყველა ფუჭია“.
მღილებისთვის სუქდებოდა,
დღეს ჭამს მატლი თუ ჭია!..

დ. თომაშვილი.

იანვრის 2-ს

პეტერბურგი. პირველი სესხის 66 ტირაჟი მომგებიანი ბილეთებისა: ორასი ათასი მან.—17272/22; სამოცდა თუთხმეტი ათასი მანეთი—16694/42; ორმოცი ათასი მანეთი—11187/34; ოცდა ხუთი ათასი მანეთი—17134/40; ათი ათასი მ.—2732/17, 13735/48; 6228/49; რვა ათასი მ.—7793/3, 2932/41, 12545/32, 15864/29, 13882/38; ხუთი ათასი მ.—18625/28, 6642/37, 16224/48, 1175/14, 640/7, 1651/46, 4056/2, 8943/1; ათასი მან.—921/45, 18874/4, 3313/1, 7218/4, 9322/3, 8/10, 16464/9, 10913/41, 16104/14, 3942/37, 7055/35, 13131/27, 12875/30, 16731/19, 13084/50, 8898/4, 13726/19, 18402/48, 5623/2, 7059/42.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

Дов. ценз. Тифлисъ, 5 Января 1897 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბა, ს. დ. როტინიანცის Гол. пр. д., № 41.